

## 1997 წლის 30 იანვარი - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1096 (1997)

### უშიშროების საბჭო

ადასტურებს რა, ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ, 1996 წლის 12 ივლისის 1065 რეზოლუციას და ეყრდნობა რა თავისი თავმჯდომარის 1996 წლის 22 ოქტომბრის განცხადებას,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1997 წლის 20 იანვრის მოხსენება (S/1997/47),

აღიარებს რა გენერალური მდივნის და მისი სპეციალური წარმომადგენლის, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარისა და მოხსენებაში აღნიშნული ჯგუფის "საქართველოში გენერალური მდივნის მეგობრები" სამშვიდობო პროცესის მხარდაჭერის ძალისხმევას,

დიდი შემფოთებით აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ მხარეებს ისევ არ შეუძლიათ დაძლიონ თავისი შეუთანხმებლობა აფხაზეთის მხარის მიერ დაკავებული ჯიუტი პოზიციების გამო და ხაზს უსვამს რა იმის აუცილებლობას, რომ მხარეებმა დაუყოვნებლივ გაააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა გაეროს ეგიდით და რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით კონფლიქტის ყოვლისმომცველი და უსწრაფესი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით,

აღნიშნავს რა აფხაზეთში, საქართველო, გაეროს ადამიანის უფლებათა განყოფილების გახსნას,

კვლავ ადასტურებს რა მხარეების მიერ ადამიანის უფლებათა მკარი დაცვის აუცილებლობას, გამოხატავს, რომ მხარს უჭერს გენერალური მდივნის ძალისხმევას, ეპიოს მდგომარეობის გაუმჯობესების გზები, მათი, როგორც საქმიანობის განუყოფელი ნაწილის, დაცვით,

შემფოთებით აღნიშნავს რა ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების (S/1994/583, დანართი 1) (მოსკოვის შეთანხმება) ორივე მხარის მიერ ბოლო ხანს ხშირ დარღვევას, აგრეთვე ძალადობის აქტებს, ორგანიზებულს საქართველოს მთავრობის კონტროლს დაუქვემდებარებელი შეიარაღებული ჯგუფების მიერ, რომლებიც მოქმედებენ მდინარე ენგურის სამხრეთით მდებარე რაიონებიდან,

დიდად აფხაზეთს რა წვლილს, რომელიც საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიამ და დსთ-ს კოლექტიურმა ძალეებმა (დსთ სამშვიდობო ძალეებმა) შეიტანეს კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციაში, აღნიშნავს რა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასა და დსთ-ს სამშვიდობო ძალეებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან განვითარებას და ხაზს უსვამს მათ შორის მიმდინარე მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაგრძელების დიდ მნიშვნელობას მათ მიერ შესაბამისი მანდატების შესრულების საქმეში,

ღრმად შემფოთებულია რა იმით, რომ გალის რაიონში გრძელდება უსაფრთხოების პირობების გაუარესება, შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან ძალადობის აქტების რიცხვის გაზრდით, განურჩეველი დანადგების, მათ შორის ახალი სახეობის ნაღმების ჩათვლით და ღრმად შემფოთებულია რა აგრეთვე რაიონში დაბრუნებული ადგილობრივი მოსახლეობის, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა, აგრეთვე საქართველოში გაეროს მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალეების დაცვისა და უსაფრთხოების პირობების მიმდინარე გაუარესებით, რომელიც გრძელდება,

შეახსენებს რა მხარეებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისგან მათი დახმარების შესაძლებლობა დამოკიდებულია მათსავე პოლიტიკურ ნებაზე, დიალოგისა და ურთიერთდათმობის საფუძველზე მოავარონ კონფლიქტი, აგრეთვე მათ ყოველმხრივ თანამშრომლობაზე საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან და დსთ-ს სამშვიდობო ძალეებთან, მათ შორის, საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხო და თავისუფალ გადაადგილებასთან თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად.

იღებს რა ცნობად დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების 1996 წლის 17 ოქტომბრის მიღებულ გადაწყვეტილებას (S/1996/874, დანართი) აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალეების მანდატის გაფართოებისა და მისი მოქმედების ვადის 1997 წლის 31 იანვრამდე გაგრძელების შესახებ,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1997 წლის 20 იანვრის მოხსენებას;

2. ადასტურებს თავის ღრმა შემფოთებას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის საქმეში შენარჩუნებული "ჩიხური" სიტუაციის გამო;

3. კვლავ ადასტურებს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი თავის ერთგულებას და ამ პრინციპების მკაცრი შესაბამისობით აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას და ხაზს უსვამს აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერ ამ პრინციპების დამრღვევი ნებისმიერი მოქმედების, კერძოდ, 1996 წლის 23 ნოემბერსა და 1996 წლის 7 დეკემბერს ჩატარებული აფხაზეთის, საქართველო, ე.წ. პარლამენტის უკანონო არჩევნების მიუღებლობას;

4. კვლავ ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას სამშვიდობო პროცესში გაეროს აქტიური როლისადმი, მიესალმება გენერალური მდივნისა და მისი საგანგებო დესპანის ძალისხმევას, მიმართულს კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისაკენ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის, როგორც მისი ხელშემწყობი მხარის, ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიების შემდგომ გააქტიურებაში და მოუწოდებს გენერალურ მდივანს გააგრძელოს ამ მიზნით თავისი ძალისხმევა რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) მხარდაჭერით;

5. მიესალმება, ამასთან დაკავშირებით, გენერალური მდივნის მოხსენებაში გადმოცემულ ინიციატივას სამშვიდობო პროცესში გაეროს როლის გაძლიერების შესახებ;

6. მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ, აფხაზეთის მხარეს, მიაღწიოს არსებით პროგრესს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე გაჭიანურების გარეშე და შემდგომ მოუწოდებს მათ სრული მხარდაჭერა აღმოუჩინონ გენერალური მდივნის ძალისხმევას რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, მხარდაჭერით;

7. მიესალმება მხარეებს შორის მაღალ დონეზე პირდაპირი დიალოგის განახლებას, მოუწოდებს მათ გაააქტიურონ მშვიდობიანი გადაწყვეტილების ძიება უშუალო კონტაქტების შემდგომი გაფართოების გზით და სთხოვს გენერალურ მდივანს უზრუნველყოს აუცილებელი მხარდაჭერით, თუ მხარეები ითხოვენ ამას;

8. კვლავ ადასტურებს ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის, რომელთაც კონფლიქტი შეეხო, უსაფრთხოების პირობებში დაბრუნების უფლებას საერთაშორისო სამართლისა და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების (შ/1994/397) დებულებათა შესაბამისად, გმობს ამგვარი დაბრუნების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს და აღნიშნავს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საკითხის აფხაზეთის, საქართველო, პოლიტიკური სტატუსის შესახებ საკითხთან ნებისმიერი დაკავშირების მიუღებლობას;

9. შეახსენებს ეუთოს ლისაბონის (შ/1997/57, დანართი) უმაღლეს დონეზე შეხვედრის დასკვნებს აფხაზეთში, საქართველო, მდგომარეობის შესახებ და კვლავ აცხადებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას;

10. კვლავ აცხადებს, რომ გმობს მკვლევობებს, განსაკუთრებით ეთნიკური ნიშნით მკვლევობებს და ეთნიკური მიზეზებით განპირობებულ ძალადობის სხვა აქტებს;

11. კვლავ ადასტურებს თავის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მხარემ არსებითად დააჩქაროს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი, დაყოვნებისა და წინასწარი პირობების გარეშე, კერძოდ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერ შემოთავაზებული გრაფიკის საფუძველზე მიღებული გრაფიკით და მოითხოვს, რომ მან მისცეს ამ რაიონში მყოფი არაორგანიზებული რეპატრიანტების უსაფრთხოების გარანტია და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოსთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი მათი სტატუსის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების შესაბამისად, კერძოდ, გალის რაიონში;

12. მიესალმება ამასთან დაკავშირებით 1996 წლის 23 და 24 ოქტომბერს გალში მოწყობილ შეხვედრას ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ორგანიზებული დაბრუნების საკითხზე, კერძოდ, გალის რაიონში და მოუწოდებს მხარეებს გააგრძელონ ეს მოლაპარაკებები;

13. მოუწოდებს მხარეებს უზრუნველყონ მოსკოვის შეთანხმების სრული განხორციელება;

14. გმობს გალის რაიონში დანადგვას, რომელიც გრძელდება, ახალი სახეობის ნაღმების ჩათვლით, რის შედეგად უკვე არის რამდენიმე დაღუპული და დაჭრილი სამოქალაქო მოსახლეობაში, სამშვიდობო ძალებში და საერთაშორისო თანამეგობრობის მეთვალყურეთა შორის და მოუწოდებს მხარეებს მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა დანადგვის და შეიარაღებული ჯგუფების გააქტიურების დაუშვებლობის მიზნით და ყოველმხრივ ითანამშრომლონ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან, დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან იმისათვის, რომ დაიცვან თავისი ვალდებულება გაეროს, დსთ-ს სამშვიდობო ძალების და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მთელი პერსონალის უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად;

15. დაბეჯითებით მოუწოდებს გენერალურ მდივანს გადადგას აუცილებელი ნაბიჯები მუქარის პასუხად, რომელსაც წარმოადგენს დანადგვა, უსაფრთხოების პირობების გასაუმჯობესებლად, იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს საფრთხე საქარ-

თველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის პერსონალისათვის და შეიქმნას პირობები მისი მანდატის ეფექტიანი განხორციელებისათვის;

16. ადგენს გაუგრძელდეს მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას შემდგომი პერიოდით, რომლის ვადა 1997 წლის 31 ივლისს იწურება, იმ პირობით, თუ საბჭო დაუბრუნდება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატის განხილვას, თუ რაიმე ცვლილება მოხდება დსთ სამშვიდობო ძალების მანდატში.

17. გამოხატავს თავის სრულ მხარდაჭერას აფხაზეთში, საქართველო, ადამიანის უფლებების დაცვისა და წახალისების კონკრეტული პროგრამის განხორციელებისადმი, აღნიშნავს ამ კონტექსტში აფხაზეთში, საქართველო, 1996 წლის 10 დეკემბერს საქართველოში გაეროს მისიის შემადგენლობაში მისიის მეთაურის ხელმძღვანელობით გაეროს ადამიანის უფლებათა განყოფილების გახსნას თავისი 1077(1996) რეზოლუციის შესაბამისად და სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს აუცილებელი ზომების მიღება ეუთოს შემდგომი საქმიანობის ჩარჩოებში და გააგრძელოს მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან;

18. კვლავ მიმართავს სახელმწიფოებს შეიტანონ სახსრები ნებაყოფილობითი შენატანების ფონდში მოსკოვის შეთანხმების და განადმვის ჩათვლით ჰუმანიტარული ასპექტების განხორციელების მხარდასაჭერად, როგორც ამას დონორები განსაზღვრავენ;

19. სთხოვს გენერალურ მდივანს განიხილოს აფხაზეთის ეკონომიკის აღდგენისათვის გამიზნული ტექნიკური და ფინანსური დახმარების გადაცემის საკითხი, მას შემდეგ, რაც წარმატებით დასრულდება პოლიტიკური მოლაპარაკებები;

20. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზოლუციის მიღებიდან სამი თვის შემდეგ წარუდგინოს მას მოხსენება აფხაზეთში, საქართველო, სიტუაციის შესახებ, მათ შორის, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ოპერაციების თაობაზე, ამ მოხსენებაში ჩართოს რეკომენდაციები გაეროს მეთვალყურეთა ყოფნის ხასიათის შესახებ და ამასთან დაკავშირებით ამჟღავნებს თავის განზრახვას ჩაატაროს ოპერაციის გულდასმით მიმოხილვა მისი მიმდინარე სამანდატო პერიოდის ბოლოს;

21. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.